

შპს „სმ ჯგუფი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2022

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სმ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ძირითადი საქმიანობა	6
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	6
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	7
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები	7
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი	7
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	7
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8
3.7. მოგების გადასახადი	9
3.8. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	9
3.9. საწესდებო კაპიტალი	9
3.10. დივიდენდები	9
3.11. შემოსავალი	9
3.12. ხარჯები	10
4. შენიშვნა: ამონაგები	10
5. შენიშვნა: რეალიზაციის თვითღირებულება	11
6. შენიშვნა: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
7. შენიშვნა: ფული და ფულის ეკვივალენტები	12
8. შენიშვნა: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
9. შენიშვნა: ძირითადის საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14
10. რისკების მართვა	14
10.1. ლიკვიდურობის რისკი	14
10.2. სავალუტო რისკი	14
9.3 საკრედიტო რისკი	15
11. სასამართლო დავები	15
12. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	15
13. ბალანსის შემდგომი მოვლენები	15

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა ი	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ამონაგები	4	1,671,020	2,531,647
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(952,926)	(1,701,675)
საერთო მოგება		718,093	829,971
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(166,340)	(172,061)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები		(336,129)	(595,551)
სხვა შემოსულობები/(ხარალი) - წმინდა	7	(96,356)	1,496
საოპერაციო მოგება		119,269	63,856
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		119,269	63,856
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		119,269	63,856
სხვა სრული შემოსავალი: შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		119,269	63,856



დირექტორი
სოფია ბენაშვილი

29 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	91,840	171
არამატერიალური აქტივები		77,710	100,569
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		-	-
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე		-	-
		169,550	100,740
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	92,999	5,516
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10	19,012	86,036
საგადასახადო აქტივები		26,075	4,651
მარაგები	11	185,469	156,567
		323,556	252,770
მთლიანი აქტივები		493,107	353,510
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		33,703	(29,155)
მიმდინარე მოგება		119,269	63,856
		152,972	34,701
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
გრძელვადიანი ფინანსურ იჯარა		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		-	-
ფინანსურ იჯარა		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		286,650	279,077
საგადასახადო ვალდებულებები		53,484	39,731
		340,134	318,808
მთლიანი ვალდებულებები		340,134	318,808
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		493,107	353,510



29 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

	შენიშვნა ი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
2021 წლის 1 იანვარი		49,489	-	75,828	125,317
წმინდა მოგება				63,856	63,856
სხვა სრული შემოსავალი					-
კაპიტალის ზრდა/კლება		(49,489)			(49,489)
გადაფასების რეზერვი					-
გაცემული დივიდენდი					-
წინა პერიოდის კორექტირებები				(104,983)	(104,983)
2021 წლის 31 დეკემბერი		-	-	34,701	34,701
წმინდა მოგება				119,269	119,269
სხვა სრული შემოსავალი					-
კაპიტალის ზრდა/კლება					-
გადაფასების რეზერვი					-
გაცემული დივიდენდი					-
წინა პერიოდის კორექტირებები				(998)	(998)
2022 წლის 31 დეკემბერი		-	-	152,972	152,972



დირექტორი
სოფია ბერაია

29 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს სმ ჯგუფი (405062818) („კომპანია“) დაარსდა 2014 წლის 17 სექტემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო:

- სოფია ბერაია (01005045405) 100%-იანი წილით.

კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ინერტული და საშენი მასალების წარმოება და ვაჭრობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. N 34, ბინა N15.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიის დირექტორი გახლავთ სოფია ბერაია, საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქე (01005045405).

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სანის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მკს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა: ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილ უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებიდან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, რომლებიც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.10. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.11. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.12. ხარჯები

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

4. შენიშვნა: ამონაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

ამონაგები	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,671,020	2,531,647
სულ	1,671,020	2,531,647

5. შენიშვნა: რეალიზაციის თვითღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

რეალიზაციის თვითღირებულება	2022 ლარი	2021 ლარი
გაყიდული საქონელი	745,384	1,514,609
დამხმარე მასალების დანახარჯები	207,542	185,084
ძირითადი მასალების დანახარჯები		1,982
სულ	952,926	1,701,675

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

6. შენიშვნა: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 ლარი	2021 ლარი
შრომის ანაზღაურება	80,294	62,375
ცვეთა და ამორტიზაცია	29,589	26,462
საკონსულტაციო ხარჯები	7,200	7,200
საბანკო ხარჯები	2,180	1,875
კომუნიკაციის ხარჯები	873	941
გაწეული მომსახურების ხარჯები	40,331	54,911
ოფისის ხარჯები	155	248
სხვა ხარჯები	5,718	18,049
სულ	166,340	172,061

7. შენიშვნა: ფული და ფულის ეკვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს:

ფული და ფულის ეკვივალენტები	2022 ლარი	2021 ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	75,819	4,413
ფული ბანკში ლარი	9,680	1,103
ფული ბანკში დოლარი	7,500	-
სულ	92,999	5,516

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

8. შენიშვნა: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2022 ლარი	2021 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	18,974.74	32,397.77
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	37.52	53,638.52
სულ	19,012	86,036

9. შენიშვნა: ძირითადის საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადის საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავს:

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მიწა	შენიშვნები	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	ლიზინგი	მსუბუქი კონსტრუქციები	იჯარით აღებული ქონება	სულ
თვლითრეზერვები										
1 იანვარი 2021	-	-	16,340	1,189	1,677	58,000	-	-	-	77,207
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	16,340	1,189	1,677	58,000	-	-	-	77,207
შემოსვლა	-	-	-	-	-	98,400	-	-	-	98,400
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	16,340	1,189	1,677	156,400	-	-	-	175,607

გვეთა და გაუფასურება										
1 იანვარი 2021	-	-	13,072	1,189	1,171	58,000	-	-	-	73,433
პერიოდის გვეთა	-	-	3,268	-	335	-	-	-	-	3,603
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	16,340	1,189	1,507	58,000	-	-	-	77,036
პერიოდის გვეთა	-	-	-	-	171	6,560	-	-	-	6,731
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	16,340	1,189	1,677	64,560	-	-	-	83,767

წმინდა საბალანსო ღირებულება										
1 იანვარი 2021	-	-	3,268	-	506	-	-	-	-	3,774
31 დეკემბერი 2021	-	-	-	-	171	-	-	-	-	171
31 დეკემბერი 2022	-	-	-	-	-	91,840	-	-	-	91,840

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვლირებულება			
1 იანვარი 2021	151,645.21	746.61	152,391.82
შემოსვლა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	151,645.21	746.61	152,391.82
შემოსვლა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	151,645.21	746.61	152,391.82
ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი 2021	28,683.99	279.98	28,963.97
პერიოდის ცვეთა	22,746.78	111.99	22,858.77
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	51,430.77	391.97	51,822.74
პერიოდის ცვეთა	22,746.78	111.99	22,858.77
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	74,177.55	503.96	74,681.51
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2021	122,961.22	466.63	123,427.85
31 დეკემბერი 2021	100,214.44	354.64	100,569.08
31 დეკემბერი 2022	77,467.66	242.65	77,710.31

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

10. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

10.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

10.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

10.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკის ალბათობა, რომ მოვალე ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის.

საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს. იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე.

დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხის შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზიანის მნიშვნელოვანი რისკი, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

11. სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

12. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

13. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს სმ ჯგუფი

მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სმ ჯგუფი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს), კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. №34 ბ15. ფაქტობრივი მისამართი: კასპი, სოფელი ქვემო ხანდაკი; კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 17/09/2014 და საიდენტიფიკაციო კოდი: 405062818.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ინერტული და საშენი მასალების წარმოება და რეალიზაცია. ზოლო

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კომპანიას ძირითადი საქმიანობის ადგილას, (კასპის რაიონი, სოფ. კავთისხევი). გააჩნია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწყობი, საიდანაც ახორციელებს საქონლის მიწოდებას და ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას.

კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა მსხვილი და საშუალო ზომის დამკვეთებთან, ამავდროულად კომპანია ემსახურება საცალო სამომხმარებლო სეგმენტსაც.

კომპანიის პროდუქციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის დამზადება და წარმოება ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ადგილობრივი მასალებისა და მუშახელის გამოყენებით; ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და მას უფრო კონკურენტულს და იოლად ხელმისაწვდომს ხდის. საწარმოს ადგილმდებარეობა ასევე გვაძლევს ლოჯისტიკური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას და უფრო ფართე რეგიონების მოცვას.

წარმოების თანამშრომლები ღებულობენ პირდაპირ ხელფასს გამომუშავებით, რომელიც უმეტეს წილად დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და ნამუშევარ საათებზე. ისინი ასევე სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით და მუდმივად ხდება მათი მატერიალური და სოციალური უფლებების დაცვა.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს კომპანიის საქმიანობას. კომპანიის სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის პარტნიორთა კრება ირჩევს დირექტორს (დირექტორებს), რომლებსაც ეკისრებათ კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე, აგრეთვე ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. დირექტორი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს კომპანიის ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი, მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან თანამშრომლები, წახალისოს ან დასაჯოს ისინი კომპანიაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

კომპანიის მისიაა

კომპანიის მიზანია

წარმოების დინამიკა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სამშენებლო სექტორის განვითარებასთან. საქართველოში ბოლო წლებში სამშენებლო ბიზნესის მკვეთრ ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილებაც ხარისხიან სამშენებლო მასალაზე. როგორც წესი სამშენებლო მასალების ბიზნესი ნაკლებ რისკიან საქმიანობად არის მიჩნეული და მაღალი სარეალიზაციო მარჟების წყალობით ამ სფეროში ჩართული კომპანიები იშვიათად ხვდებიან სამეწარმეო, საოპერაციო თუ ბაზრის მიერ რისკების მსხვერპლნი.

კომპანია ყოველწლიურად ადგენს მომავალი წლის ბიუჯეტს. ფინანსური აღრიცხვა წარმოებს ფაქტიურად მომხდარი ოპერაციების შესაბამისად და ხდება შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან მიმართებაში

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კომპანია ბაზარზე წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან რგოლს. ბაზარზე არსებობს გარე ფაქტორებისაგან გამოწვეული არასტაბილურობა. კომპანიის შემოსავლის არანაირი წილი (0%) არ არის დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებთან

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყვების შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, კომპანიის ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და მის უნარზე შეისყიდონ საქონლი და გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური. კომპანიის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს

- კონკურენცია;
- რესურსების განვითარების შეფერხება;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინება.
- ფორსმაჟორული სიტუაციები.

აღნიშნული რისკების მართვისას კომპანია იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვას კომპანია ახორციელებს კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების რისკის მართვას კომპანია უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით.

შპს „სმ ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ამდენად კომპანიას მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.



29 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო